სახალხო გაზეთი

№ 331 კვირა, 19 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 331

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 30 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარე განცხადების დაბეჭდვა პირველ კვერდზე თითო ჯერ ხალამდე 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპანი"-ში, მადათოვის ბუნებულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო ხანლის ლ. და ე. მეტლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიალნიკის ქ., ხ. ხიტროვოსა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოხსკაია 11, ვარშავაში—პარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ბელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ბელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაბეჭდავი მიერე წერილები და კორესპონდენციები ხულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრ ოებები. პირადად მოლაპარაკება მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოგზავნა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის
Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ეროვნულ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

დ. ყვირილაში

„ხორაპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

კნეინა ოდდა ივანეს ასული, ვლადიმერ და დარია ილიას ძე და ასული, ირაკლი ლუარსაბის ძე, ლუარსაბ ლეონის ძე, გრიგოლ ირაკლის ძე, ნინო დიმიტრის ასული და ეკატერინე ავთანდილის ასული ფალავანდიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის მეუღლისა, მეორეთა მამის, მესამის ძმის, მეოთხეთა ბიძ ს და დანარჩენთა მამამთილის

ილია ლუარსაბის ძე ფალავანდიშვილისას.

დაკრძალვა იქნება სამშაბათს, 21 ივნისს, ს. კნოლეში, დილის 10 საათზე, საგვარეულო ეკლესიაში. პანაშვიდები იქნეს, ყოველ-დღე, შუადღის 12 საათზე და საღამოს 5 საათზე. (1—673—1)

ძმ. ზუბალაშვილის სახალხო სახლი

კვირას, 19 ივნისს, შუადღის 12 ს.,

ივ. ა. როსტომაშვილი წაიკითხავს ქართულად პირველ

ლექციას

მსოფლიო გეოგრაფიიდან შესახებ:

„ბარეშე ხალხთა ურთიერთ გაცნობისა და მათ შორის ვაჭრობა მოსვლის საშუალებათა გაუმჯობესებისა არ არის წინსვლა და ნივთიერ-გონებრივი განვითარება ქაცობრიობისა".

ფასი ადგილებისა 5—10 კ. მეორე ლექციის შესახებ „ევროპისა", წაკითხული იქნება სწორეს 26 თებერვალს, იმავე საათებსა და ფასებში. თვითეული ლექცია გაგრძელდება არა უმეტეს ერთის საათისა. 10% წმინდა შემოსავლისა გადაეცემა „კავშირს-კაპეიკას". ბილეთის ყიდვა შეიძლება წინდაწინვე და თითონ ლექციის დღეს კასაში. (3—651—3)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

კვირას, 19 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე ტფილისის მომხმარებელი საზოგადოება „მომავალი" გამართავს ლექციას ქართულ ენაზე

** კოოპერაციაზე**

ლექტორი—კ. პ. კანდელაკი. ფასები 5—10 კ.-მდე.

შინაარსი ლექციისა: იდეა ურთიერთ დახმარებისა და თანამედროვე კოოპერატიულ მოძრაობის მიზანი.—განსხვავება კერძო, აქციონერულ და კოოპერატიულ დაწესებულებათა შორის.—კოოპერატიულ მოძრაობის წინამორბედნი: ფურიე და ო. ბ. ოუენი.—„როჩდელის პატიოსანი პიონერები".—კოოპერაციის განვითარება ინგლისში (კოოპერაცია ქალაქში) და დანიაში (კოოპერაცია სოფლად).—საზოგადო მიმოხილვა კოოპერაციის მდგომარეობისა უცხოეთში და ჩვენში.—კოოპერატ. მოძრაობის უმთავრესი ფორმები. კოოპერაცია სოფლად.—მნიშვნელობა კოოპერაციისა თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებაში.

(2—665—2) მოამზადა. საზოგად. „მომავალი"-ს გამგეობა.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 19 თებერვალს, 1911 წ.

დ. შარდოსკირელი

გამართავს

სალიტერატურო-სამუსიკო დილას

მონაწილეობას მიიღებენ ილია ნაკაშიძე (წაიკითხავს ნაწყვეტებს დიკენსის თხზულებიდან), გოცირიძე, ნ. გლებოვი იმღერებს (რომანსებს), გოგინაშვილი, გასპარიანი, ბებიაშვილი, დარჩია, თურდოსპირელი, ოორდა ოვი, კასრაძე, მეტრეველი, მედვინეთუხუცესი, ნარკანი, რუაშვილი, საღირაშვილი, საფაროვი, ტატიშვილი, ქეჩი ვილი, ჩუბინოვი და ჭანკვატაძე. დასახრულს ითამაშებენ ლეკურს. ადგილ ფასი 5—50 კ. დე. დასაწყ. დღის 1½ ს. გამგე ნ. ჭანკვატაძე. (2—665—2

ავჭალის სახალხო აუდიტორია. სეზონის დახურვა.
კვირას 19 თებერვალს 1911 წ.

ბენეფისი
მიხეილ არტემის ძე სტეფანოვისა.

წარმოდგენილი იქნება:

ქრისტინე

დრ. 4 მოქმ. ირეთელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გავთელი, ლელაშვილი, მაზარაძე, რეულოვი, თევზაძე, ფეიქრიშვილი და მ. ფხიზოვისა. ბ. ბ. ანამეილი, ამდუშელიშვილი, ინაშვილი, ვანიაშვილი, გალუბტოვი, თაზიშვილი, ხუნუნაშვილი, ჭიაურელი და სხვანი.

დასაწყისი ხალამის 8 საათზე.

ბილეთები იყიდება იქვე თეატრის კასაში ყოველ დღე 5—8 საათამდე.

(1—1332—1) რეჟისორი ი. რომანიშვილი. მორიგი წევრი რ. ხ. რომანოვი.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტ.ელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს ბეგლიალიხი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითაია რ. ხ.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და პარ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ხ. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. ფ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუხხელიშვილი ვ. ხ.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროსკოპიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაციები, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეიძლებათ. საფასურით. (წ.—1089—491)

მუშტაიდში

კვირას, 19 ივნისს, 1911 წ. გაიმართება

დიდი სეირნობა

ქართველ ქალთა აღმზრდელობის სახელოსნო სკოლის სასარგებლოდ. (4—634—4)

მიიღება ხელის მოწერა

არჩ. ჯორჯაძის თხზულებათა მე-2-რე წიგნზე:

„ჩვენი საზოგადოებრივობა".

შინაარსი: ავტორის ხურათი. წინასიტყვაობა. 1) მეოთხმეტიანნი და ფეთხ ქიდ-ფათიანნი. 2) პუბლიცისტი—ილია ჭავჭავაძე. 3) ნ. ნიკოლაძე (ნაწყვეტი). 4) თავადაზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-XIX საუკუნეში. 5) რეფორმენიზ მეტდეგ.

ვინც ამ წიგნზე ხელს 1 ივლისამდე მოაწერს, მათთვის წიგნი ეღირება 40 კაპ. წიგნში იქნება არა ნაკლებ 260 გვერდისა.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში—„სახალხო გაზეთის" რედაქციაში და წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში გაზ. „კოლხიდის" რედაქციაში; ბათომში—ირაკლი ავალიშვილთან (ქალაქის საავადმყოფოო); სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან; ხონში—წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; სურამში—ალ. ხორავასთან (სამაკალეო მაღაზია); გორში—სოლომ. კიკნაძესთან (სამეფო ქ., ზურაბიშვილის სახ.) და თელავში—წ. კ. ს. განყოფილების წიგნის მაღაზიაში. ვისაც სურს წიგნი ფოსტით მიიღოს, მან ხარჯად 10 კ. უნდა გადაიხადოს.

(20—1326—12)

სანატორიუმი

და

საზაფხულო სამყოფი

ექ. ვახტანგ ღამბაშიძისა.

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე.

მსურველთ ეგზავნებათ დაწვრილებითი ცნობები.

(10—660—4) მისამართი: ბორჯომით, პატარა ცემი ექიმს ვ. ღამბაშიძეს.

ვაკეთებ

თარგმნას რუსულიდან ქართულად. როგორც პიესებისას ისე სხვა სალიტერატურო ნაწარმოებისას, ქართულ ხელნაწერების შესწორებას და კორექტურას, ხელმისაწდომ ფასებში.

ბაბილინა და ნარკანი.

(10—1345—4) იკითხეთ „სახალხო გაზეთის" რედაქციაში.

დიდუბეში

დიდუბის ეკლესიის მახლობლად კვირას, 19 ივნისს, გაიმართება

კავკასიური ჭიდაობა

იჭიდავებენ: 1. შაშე ვერელი—გოლა ხამელი (იგივე ივანდაშვილი), 2. თედო ქოქაშვილი—გიგუა თამაგარი, 3. გიტე ხამადაშვილი—ბლატონ მანჯავიძე, 4. ვახტანგ ცხინვალელი—ხეხე გაგნიძე, 5. ოხი რუხეფა—ვანო ბზოველაშვილი. 6 ხანდრო კბილაშვილი—ცალქალაშანიძე. 7. ოხი ალდენა—ვახო კოშელაშვილი. 8. გარე-კაბელი—ფაბნაბაშვილი. 9. არჩილ კოშვიხუბნელი—ყასაბი ქარქარა. 10. ილიკო აღდგომელიშვილი—ვიქტორა ხბირტლაძე და სხ.

დასაწყისი 5½ ს. (2—1335—2)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიკრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხ-კუთხ საკენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—72)

წლიური საზოგადო კრება

ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა

დანიშნულია კვირას, 19 ივნისს, დილის 11 საათზედ ქართულ თეატრის შენობაში.

განსახილველი საგნები: 1) განხილვა და დამტკიცება დრამ. საზოგ. გამგეობის მოქმედების ანგარიშისა, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) არჩევა საზოგადოების წევრებისა და 4) არჩევა გამგეობის ახალ წევრთა იმ წევრების მაგიერ, რომელნიც თავს ანებებენ გამგეობას. (2—669—2)

დ. ახალ-სენაკის იარმუკა

პეტრე პავლობის შვიდი დღის იარმუკაზე, რომელიც იწყება 22 ამა ივნისიდან, სხვათა-შორის, გაიმართება ვაჭრობა სოფლის ხორაგეულობისა და პირუტყვთა და აგრეთვე ცალკე დანიშნულ ადგილზე კარავებში ფართლისა და სხ. ხორაგეულობათა, ხოლო 29 ივნისს მოხდება ცხენების მარული (დოღი) ათი ვერსის მანძილზე. ჯილდოდ დანიშნულია: პირველი—50 მანეთი, მეორე—40 მან. და მესამე—30 მან. მთელ იარმუკობის განმავლობაში დაუკრავს მუსიკა.

(2—1354—1) დეპუტატი მელიტონ ოდიშარია

აბანოთუბანში

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერმარქაროვისა. (თ.—1333—7)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ბუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოხეტიის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა. (3)

კერი

გასაცცარიაფ-ფასად

იხილე მეოთხე გვერდი.

(2—1346—2)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარგად ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ხ. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიახამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. ბოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ხ. ხეანიშვილი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მაჭელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. ფ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ბ. ვ. ხობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; ბგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მოსრიგებით

წამლოგა „606"-ით.

(წო—1090—88)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა ხნეულებანი ავადმყოფთ ყოველ დღე ხალამს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაბეთის ქ. ტელეფონი N 816.

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გამინჯვა და გადაღება რენტგენის ხსივებით. ვერა, ყორდანოვის ქ., N 20. (წ.—1249—43)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან ხნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., ხალამოი 5—7 ს. ბოგოლიუბოვის და მატარეინის ქუჩების კუთხე N 24 (6—30

სურამში

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

ქუთაისში

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

შინაგან, საბავშვო და საბებიო ნეულებათა. იღებს დილ. 8—12, ს. ღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.-1321—14)

ექიმი კბილისა

ისიდორე ჭანტარია

გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიას ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68.

(თ.—1329—12)

სურამში

სტუდენტი-ტექნოლოგი

ამაცადინებს გიმნაზიური კურსის ფარგალში. განსაკუთრებით მათემატიკა, ფიზიკა, ლათინური. მისამართი: აფთიაქის გასწვრივ ცაგურიას სახლში იკითხეთ სტუდენტი. ტფილისში ცნობების მიღება შეიძლება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში.

(2—670—2)

სუყურადღებოდ

ძალაძის საუბაციონო ზალა

იღებს გასასეიდად და

შესანახად ყოველს მოძრავს ქონებას. ველიამინის ქუჩა, ს. № 7. (3—671—1)

ბრონეკულ სიყაზბის წამლობის დროს საჭიროა, რომ არჩეული საშუალება დიდი ხნის ხმარებითაც კარგად მოქმედებდეს და არ აღიზიანებდეს. „ფრანც-იოსეფის" ბუნებრივი მწარე წყალი დიდი ხანია ფაქტიურად აღიარებულია, როგორც ნამდვილი ასეთი საშუალება. „ფრანც-იოსეფის" წყალს, სწერს ტაინი-სოვეტნიკი Prof. Senator-ი ბერლინში, — ყოველთვის გაუჭრია ხოლმეო.

Метцль и К-о. N 181571. (1—1353—1)

ტფილისი, 19 ივნისი

დრამატიული საზოგადოების კრება. დღეისთვის დანიშნულია საზოგადო კრება დრამატიულ საზოგადოებისა, რომელიც მოისმენს გამგეობის მოხსენებასა და ამ დღეებში დაბეჭდილ შემოსავალ-გასავლის ანგარიშს. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დოკუმენტიც არ არის საზოგადოების მოქმედების ანგარიში, იგი მხოლოდ კასის ანგარიშია, რომელშიაც ამასთანავე რამდენიმე გაუგებრობაცაა. მაგალითად შემოსავალში ნაჩვენებია ასეთი მუხლი: ალ. ბ. შიხინოვისაგან და ნ. გ. ქართველიშვილისაგან 3.100 მ. გასავალში კი ნაჩვენებია ვალში დაბრუნებული ფული 500 მ. მაშასადამე, ვალი ჰქონია გამგეობას არა მარტო 1,672 მ. 87 კ., როგორც ანგარიშშია ნაჩვენები, არამედ 2,600 მ. ამას გარდა გასავალში ნაჩვენებია შემდეგი მუხლი: გადმოცემულ ვალის გასტუმრებაზე—1,290 მ. 04 კ. არც აქედანა სჩანს, რა ვალია ეს ვალი და დარჩა კიდევ გადასახდელი რამე თუ არა. თუ ძველი გამგეობისაგან გადმოცემული ვალი სულ არ არის გადმოცემული, მაშინ კრედიტორების ანგარიში უფრო გაიზრდება. ყველა ამის შესახებ არავითარ ცნობებს არ იძლევა გამოქვეყნებული დოკუმენტი, რომელსაც უფრო კასის ანგარიშის ხასიათი აქვს, ვიდრე საზოგადო ანგარიშისა.

აღვნიშნავთ ამას არა საყვედურისთვის, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგში მაინც ეს ნაკლი აცილებულ იქმნას. დრამატიულ საზოგადოების ეხლანდელ გამგეობას განსაკუთრებულ პირობებში მოუხდა საქმის დაწყება: ძველმა გამგეობამ ვერაგითარი წესიერება ვერ დაამყარა, ანგარიშები არა ჰქონდა წარმოებული. ასეთი აწეწილ-დაწეწილის საქმეების გამოსწორება ერთბაშად ყოველად შეუძლებელი იყო, და დრამატიულ საზოგადოების გამგეობასაც შეუძლებელ საქმეს ვერ მოვთხოვთ. მაგრამ, ასეა თუ ისე, სეზონმა ნორმალურ პირობებში გაიარა, და გამგეობასაც საშუალება ეძლევა (ოტა) უფრო მუყაითად მიეკიდოს საქმეს, რომ შემდეგ მაინც გამოსწორდეს ის, რაც წარსულს სეზონში ვერ მოხერხდა.

უმთავრესი საკითხი—დასის შედგენაა. დასი უნდა ეკონომიურად იყოს შედგენილი და ამასთანავე შინაგანი წყობილება იმნაირი უნდა იყოს, რომ შრომა და ჯილდო პროპორციონალურად ნაწილდებოდეს. დასის შედგენას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ძალიან ხშირად თვით რეპერტუარის შედგენა და შეცვლა დასის შედგენილობაზეა ხოლმე დამოკიდებული. მეორე უმთავრესი საკითხია—რეპერტუარის შედგენა. აუცილებლად წინდაწინვე უნდა იყოს შედგენილი და შემუშავებული საკითხი რეპერტუარისა. რეპერტუართან დაკავშირებულია საკითხი ჰონორარისა. რეპერტუარში შეტანილ პიესების ჰონორარი წინდაწინვე უნდა იყოს აღნიშნული და შეტანილი ხარჯთაღრიცხვაში. ქართულ თეატრს ჩვენ ისე უცქერით, როგორც ერიონულ დაწესებულებას, და ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ დიდი ყურადღება მიექცეს ენის სიწმინდეს. ამისათვის არჩეულ უნდა იქმნას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც წარმოსადგენად წარდგენილ პიესებს რედაქციის მხრით განიხილავს. სარედაქციო კომისიის განუხილველად არც ერთი პიესა არ უნდა

იქმნას დადგმული. ყველა ამ საკითხებზე გამგეობას თავისი მოხსენებანი რომ წარედგინა საზოგადო კრებისთვის, მაშინ ყველაფერი უფრო კარგად გამოირკვეოდა და კრებაც განსაზღვრულ გადაწყვეტილებას გამოიტანდა. მაგრამ, რახან ეს ასე არ მოხდა, თვით საზოგადო კრებამ მაინც უნდა აღძრას ეს საკითხები, სერიოზული ანგარიში გაუწიოს და რაიმე გარკვეულ აზრს დაადგეს.

დირექტივები გამგეობისთვის საჭირო იქნება.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

ᲤᲘᲚᲘᲡᲘ

◆ დღეს, 19 ივნისს, დანიშნულია **ქართველ ქალთა სახელოსნო სკოლის სახარგებლოდ სეირნობა** მუშტაიდში. იმედია, ქართველი საზოგადოება არ დაიზარებს დასწრებას, მით უმეტეს, რომ ორჯელ წინად გამართულ სეირნობის მოცდენამ ავდრისა გამო, ზემოხსენებულ საზოგადოებას საგრძნობელი ზარალი მისცა.

◆ **ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲤᲝᲡᲢᲐ-ᲢᲔᲚᲔᲒᲠ. ᲝᲚᲥᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ** განკარგულებით სოფ. ხულოში (ბათომის ოლქი) საფოსტო განყოფილება გაიხსნა, სადაც შუაგულ რუსეთში გასაგზავნ დეპეშებსაც მიიღებენ.

◆ **ᲣᲛᲐᲠᲗᲔᲑᲔᲚᲔᲡᲛᲐ ᲡᲔᲜᲐᲢᲛᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐ**, რომ ბაღები დაფასდება შემოსავლის მიხედვით და არა როგორც ცარიელი ადგილები. ეს განმარტება იმან გამოიწვია, რომ მებაღეებსა და დამფასებელთა შორის მუდამ უთანხმობა ხდებოდა.

◆ **ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ 1911 ᲬᲚᲘᲡ** ხარჯთაღრიცხვა სპეციალურ თანხის საქალაქო საქმეების შესახებ, საგუბერნიო საკრებულომ უცვლელად დაამტკიცა.

◆ ქალაქის გამგეობამ **საგუბერნიო სამმართველოს** საალმშენებლო განყოფილებას წარუდგინა მოხსენება იმის შესახებ, რომ სოლოლაკში მთის ფერდობზე სახაზინო მიწები, სახლების ასაშენებლად, იჯარით გაიცეს.

◆ **ᲥᲕᲐᲤᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲚᲐᲓ** ქალაქის 1912 წლის ხარჯთაღრიცხვით გადაიჯება **30,000** მან., ახალ ქვაფენილების გასაკეთებლად კი—10,000 მ. როგორც ამბობენ, რამდენიმე ქუჩა გაუშჯობესებულ საშუალებით დაიფინება, როგორც ევროპაშია.

◆ **ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐ.** 17 ივნისს ტფილისში ჩამოვიდა მასწავლებლების გ. ი. ჩურჭულაძისა და გ. ლ. ბოკერიას ხელმძღვანელობით ხონის სამასწავლებლო სემინარიაში კურსდამთავრებულ მოსწავლეთა ექსკურსია, რიცხვით 20 კაცი. ექსკურსანტებს მოუვლიათ ფოთი და ბათომი. გუშინ ექსკურსანტებმა ჩვენი გაზეთის რედაქციაც ინახულეს. ტფილისიდან ისინი 20 ივნისს მცხეთას გაემგზავრებიან, საიდანაც პირდაპირ ქუთაისს ჩავლენ.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა **ნებადართო** კავკასიის სცენებზე წარმოადგინონ ახალი პიესები: „სამშობლო ბუდისაკენ“, დრ. 4 მოქ. მალაქიაშვილისა და „შანტეკლერი“, ვოდ. 1 მოქ. ერთაწმინდელისა.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ

◆ დღეს, დილის 11 საათისათვის, ქართულ თეატრში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური საზოგადო კრება, რომელიც განიხილავს გასული წლის ანგარიშს.

როგორც ანგარიშიდანა სჩანს, საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია: ქართულ წარმოდგენებისაგან—12,556 მან. 82 კაპ., თეატრისა და ბაღის გაქირავებიდან—8,885 მან. 50 კაპ., ტანისამოსის შესანახისა 2,162 მან. 25 კაპ. რესტორანის იჯარისაგან 2000 მ., დეპუტატთა საკრებულოსაგან 4,740 მან. (4000 მ. რესტორ. იჯარაში და 740 მან. შემწეობა), საზ. სასარგებ. გამარ. საღამოებისა და შემოწირულებანი—1047 მ. 49 კ., საწევრო გადასახადი—75 მ. წვრილი შემოს. 55 მან., ნ. გაბუნია-ცაგარლის ფონდისა—94 მ. 40 კ., თეატრის მოსამსახურეთა ბე—1,050 მ. კერძო პირების ვალი: ალ. შაიხინოვი—1500 მან. და ნ. ქართველიშვილისა—1600 მან.—სულ 3,100. სულ შემოსავალი 35,766 მან. და 46 კ. ყოფილა. გასავალი კი ყოფილა: დრამატიულ დასზე—11,561 მ. 82 კ., გასტროლებზე, გამოსვლით არტის. და სტატისტებზე—1,013 მ. 22 კ., ბენეფიციანტების ხვედრი—1267 მ. 35 კ., წიგნ საცავზე—396 მ. 60 კაპ. გაზეთების განცხადება—685 მ. 50 კ., საავტორო სასყიდელი—54 მან. 30 კ., ადმინისტრაცია და თეატრის მოსამსახურეებზე—8,869 მ. 55 კ., დეკორაცია, ავეჯი, გარდერობი, ბუტაფორია და რეკვიზიტი—2,114 მ. 13 კაპ., აფიშების გაკვრა და რეკლამა—735 მ. 15 კაპ., პარიკმახერს—572 მ., კანცელარია და სტამბა—1,992 მან. 17 კ. მუსიკა და ჩსინემატოგრაფი—922 მან. 75 კ. ცეცხლის მაკრობელი რაზმი და წვრილი ხარჯები—630 მ. 34 კ. ელექტრონის განათება—463 მ. 85 კაპ., თეატრის მოქირავნეთ მათ ხვედრში—2,261 მ. 84 კ., მოულოდნელი ხარჯი—264 მან. 47 კ. გადმოცემულ ვალის გასტუმრებაზე—1,290 მან. 4 კ. ალ. ბ. შიხინოვის ვალში დაუბრუნდა—500 მან., კასაში ნაღდად არის—177 მ. 48 კაპ. სულ 35,766 მ. 46 კაპ. კრედიტორების ანგარიშში—1,672 მან. 82 კაპ.

◆ 17 ივნისს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგ. შენობაში ქართულ სამეურნეო საზოგადოების კრება მოხდა, სადაც აგრონომმა ა. ქალანთარმა ორი მოხსენება წაიკითხა. დაწვრილებით ცნობებს უადგილობისა გამო ვერ ვათავსებთ.

◆ საზოგადოებათა და კრებების სამმართველომ დაადგინა დახუროს ქ. კაიდანოვის სახელობის ბიბლიოთეკის საზოგადოება. ამ საზოგადოების დახურვა გამოწვეულია ნოტარიუსის მღებროვის ბინაზე აღკრძალულ ლიტერატურის აღმოჩენით. ბ. მღებროვი ამ საზოგადოების გამგეობის წევრი იყო და ბიბლიოთეკის სარდაფშიაც შეენახა რამდენიმე ყუთი ასეთივე ლიტერატურისა.

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ

◆ ხუთშაბათს, 16 ივნისს, ტფილისის კადეტთა კორპუსის მოწაფენი საზაფხულოდ მანგლისში გადაიყვანეს. იქვე იქნებიან საგარაკოდ ტფილისის ქალთა ინსტიტუტის მოწაფენიც.

◆ ორშაბათს, 20 ივნისს, დილის 9 საათზე, სამასწავლებლო ინსტიტუტის შენობაში გაიხსნება **ხელსაქმის კურსები** კავკასიის ოლქის მასწავლებელთათვის. კურსებზე ასწავლიან შეძერწვას (თიხისაგან რისმე ჩამოქნა), კალათების დაწნას და სხვა.

◆ ქართველ ქალთა ჭრა-კერვის სკოლაში წელს დაამთავრა 30 ქალმა. სია მერე.

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ

◆ კავკასიის რკინის გზის უფროსის მოადგილემ ნ. ს. ზურაბოვმა განკარგულება მოახდინა, რათა 18 ივნისიდან ბორჯომსა და ხაშურს შუა ერთი საგარაკო დამატებითი მატარებელი დაინიშნოს. გარდა ამისა კვირა-უქმე დღეებში ცაგვერსა და ბორჯომს შუა ივლის ერთი დამატებითი მატარებელი.

◆ სად. **ბათომის** დეპოში დურგალი ვანო სოკოლოვი ვაგონს აკეთებდა, გაუფრთხილებლობით მას ფეხზე დიდი რკინის ნაჭერი დაეცა და მძიმედ დაშავდა.

◆ **სადგურ ევლახში** 17 ივნისს, სამგზავრო მატარებლის № 6 გავლის შემდეგ, ლიანდაგის დარაჯმა შენიშნა ცოცხალ-მკვდარი კაცი, რომელიც აღმოჩნდა მოქალაქე სედრაქ ბაბაიანცი. ბაბაიანცი ვაგონის ბაქანზე მდგარა ღია კარებთან, გადმოვარდნილა და დამსხვრევია ხელ-ფეხი და თავ-პირი.

◆ **კავკ. რკინ. გზის მთავარ სამმართველომ** შუამდგომლობა აღძრა, ბათომში საექსპედიტორო კანტორა დაარსდეს. თუ კანტორა დაარსდა, გამგედ დაინიშნება სად. ბათომის სადგურის უფროსი ვარუნსეკრეტი.

◆ დანამდვილებით გადმოგვცემენ, რომ **კავკასიის რკინის გზის უფროსის თანამდებობაზე** კანდიდატთა შორის კავკასიის ოლქის სამხედრო მმართველის უფროსს გენერალ კარპოვსაც ასახელებენო.

◆ გუშინწინ პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდნენ საგზაო განყოფილების უფროსი ინჟინერი ჩუტენკო და კანცელარიის გამგე ანდერსი.

◆ **სად. ბარგუბეისთან** (ბაქოს გზა) 16 ივნისს 586 ვერსზე ნავთის მილები გაფუჭებულა და ნავთი დაღვრილა. მილების გაკეთებამდე ნავთის დენა შეაჩერეს.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

◆ იმერეთ ს სამრევლო სკოლათა საბჭოს უმაღლესს მთავრობისაგან განკარგულება მოსვლია, რომ ერთკლასიანი სკოლები, სადაც ორი წლის კურსი იყო, გადაკეთდეს ოთხი წლის კურსიან სკოლებადა, სადაც ეს არ ჰოხერხდება, იქ ან გაუქმებულ იქმნება ან წერა-კითხვის სკოლად რჩება. ამ ცვლილების გამო კომპლექტის რიცხვი სკოლებში გამრავლდება და ხარჯიც ამისდა მიხედვით განაწილდება.

◆ 13 ივნისს საღამოს 9 საათიდან ქუთაისის ზოგ ნაწილებიდან სროლის ხმა ისმოდა; სროლის მიზეზი ფოთის პოლკის გაუპატვახტიდან პასუხის გებაში მიცემულ ჯარის კაცის გაქცევა. იყო. („კოლხიდა“.)

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** მ. ვ. სლავინს დაავალა თავმჯდომარეობა იმ კომისიაში, რომელიც ქალაქ ბაქოს მიერ მთავრობის ნებართვით აღებულ 28 მილიონიან სესხის დახარჯვის საქმეს რევიზია უნდა გაუკეთოს. ბ-ნი სლავინი ბაქოში 20 ივნისს ჩამოვა.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

◆ **ს. ზემო-ავჭალაში** (ტფილ. მაზრა) 16 ივნისს გაუძარცვავთ მცირეწლოვან ბოროტ-მომქმედთა გამასწორებელ თავშესაფარის უფროსი, კაპიტანი კონსტანტინე ბაბლინსკი. წაუღიათ 318 მან. ფულად, ოქროს ნივთები 320 მანეთისა, 2 რევოლვერი და 200 ცალი პატრონა. ექვი მიიტანეს კოლონიის ყოფილ დარაჯებზე სოლ-მონ სოხიაშვილზე, შაქრო ბერეკაშვილზე და ივანე პუტიატინზე, რომელნიც რამდენიმე ხნის წინად დაუთხოვნია უფროსს. ორი პირველი შეიპყრეს, უკანასკნელი მიიმალა.

ᲒᲝᲜᲘ

◆ **დღეს**, 19 ივნისს, გორში ქართლოს მეხილეთა ამხანაგობის წევრთა კრებაა დანიშნული. კრება პირობის წერილს ხელს მოაწერს და გამგეობის წევრებს აირჩევს.

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ

◆ მოკლულ პორუჩიკის პალმოვისა და დარაჯის საქოვის თავდამსხმელები ნ კაცი ყოფილა. შეიპყრეს მარდუაშვილი რომელიც ორ ალაგას არის დაჭრილი. გამოირკვა, რომ ორი ყაჩაღიც დაჭრილი ყოფილა, ერთი კიდეც მომკვდარა, მაგრამ გვამს ვერ მიაგნეს. მათ აღმოსაჩენად სასტიკი ზომებია მიღებული.

ᲡᲝᲛᲔᲗᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

◆ სომხურ საზოგადოება „მეღუს“ გამგეობამ ქალაქის საკრედიტო საზოგადოებიდან 100 მანეთი დახმარება მიიღო.

ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

◆ ნამესტნიკმა ნება დართო კავკასიის სცენებზე წარმოადგინონ თათრულ ენაზე „ლეილი და მეჯნუნი“—ექვს მოქმედ. ოპერეტა ფიზულისა, ჰაჯიბეკოვების მუსიკით.

შეც. გასწორება. გუშინდელ მეთაურში შეცდომითაა დაბეჭდილი: „დეპუტატთა საკრებულოს წინადადება რუსულ გაზეთის გამოცემის შესახებ ჩვენ ფრიად **სიმპატიურად** მიგვაჩნია“, **უნდა იყოს: „სიმპატომატიურად მიგვაჩნია“.**

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ ᲫᲘᲡ

ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐ.

(ბიულეტენი). 18 ივნისი, სადამოს 8 ს. დ. ზ. სარაჯიშვილის ავადმყოფობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ავადმყოფი ისევ საგრძნობლად არის. მაჯის ცემა და გულის მოქმედება დამაკმაყოფილებელი აქვს.

ექიმი ქიქოძე.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

25

ფარდის უკან.

საგაზეთო მუშაობას მეოთხედი მხოლოდ გარეგნულად იცნობს. იგი ხელში იღებს უკვე დამზადებულ ნომერს და ხშირად ვერც კი წარმოიდგენს, რაოდენ ზნეობრივ ტანჯვას განიცდიან, ფიზიკურ შრომა იყო ის სულის შემხუთველი და სიამის წამართმევი აზრთა სრბოლა, რომლითაც მოცული იყო „სულით ობოლი“ მიქელ ანჯელოს მრავალტანჯული სიცოცხლე. რაფაელის ხასიათში უფრო ქალის ხასიათის ელემენტები სჭარბობდა; იქ, სადაც მამა-კაცი ორ წუთსაც ვერ დაჰყოფდა, სადაც იგი სიკვდილს ამჯობინებდა, ვიდრე სიცოცხლეს, იქ დედა-კაცი უფრო ადვილად ეგუება და ურიგდება გარემოცულ პირობებს. აქ ადგილი არ არის ამ საკითხის გარჩევისა და მეც მხოლოდ ფაქტს ავღნიშნავ.

რაფაელი თვის სულს არ აწამებდა რაიმე მწარე შეკითხვებით და ყველგან მშვიდობისა და სიწყნარის დამკვიდრებას ესწრაფვოდა. როგორც ვხედავთ, რაფაელის ცხოვრება არსებითად განსხვავდება მიქელ ანჯელოს ცხოვრებისაგან, რომლის სულის ფოკუსში თავი მოეყარა მრავალ, მწარე სევდით მოცულ, საკითხებს და მოსვენებას არ აძლევდა მას. მიქელ ანჯელო მთელი თვისი არსებით ჰგრძნობდა, რომ „ქვეყანაზე მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ არ სუფევდა და ცხოვრების იდეალად მტკიცე და შეურყეველ ხასიათის მქონე პირთა გამრავლება დაესახა და თვის სურათებშიაც მათ გადმოგვცემდა. მას რომ თავი დავანებოთ, მისი შემდგენელნი. ყოველს დაწესებულებასა აქვს თავისი საიდუმლო, რედაქციას უფრო მეტი საიდუმლო აქვს; მაგრამ ზოგიერთ მოვლენათა გამოქვეყნება მაინც სასარგებლოდ მიგვაჩნია. განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება ქართული რედაქციები. მოგეხსენებათ, ქართული ენა ძალიან მარტივი ენაა, და ამიტომ თითქმის ყველა წერა-კითხვის მცოდნეს თავის მოვალეობად მიაჩნია წერა. ერთის მხრით ეს სასიამოვნოცაა: თვითოეულს ადვილი საშუალება ეძლევა თავისი აზრები გამოჰხატოს და გააცნოს საზოგადოებას. მაგრამ სასარგებლოა ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველას კარგადა აქვს გათვალისწინებული აზრი და მნიშვნელობა ბეჭდვითი სიტყვისა. საუბედუროდ ხშირად ეს ასე არა ჰხდება ხოლმე, და რედაქციის ხელმძღვანელსაც დაუშრეტელ ენერგიის გამოჩენა სჭირდება იმისთანა პირთან საბრძოლველად, რომელსაც სურს საზოგადოებრივი ორგანო პირად ანგარიშების გასასწორებელ ორგანოდ გადააქციოს.

ამ სტრიქონების დამწერს არა ერთხელ მოსვლია უსიამოვნება ამ ნიადაგზე და ძალიან კარგად იცის მათი ფასი. სიტყვა რომ ძალიან არ გაგვიგრძელდეს, ერთს დამახასიათებელ მაგალითს მოვიყვან.

რედაქციაში შემოდის ერთი ქართველი ინტელიგენტთაგანი და მოაქვს ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ახლად გამოსულ წიგნზე. ვკითხულობთ ამ შენიშვნას. ორიოდე სიტყვაა ნათქვამი თვით წიგნზე, წერილის უმთავრესი ნაწილი კი იმის დაჭკიცებას უნდება, რომ რედაქციაში უნიჭო ხალხი ზის და რომ ჭეშმარიტს ნიჭს გზას არ აძლევენო. რედაქციის გამგე უხსნის ავტორს, რომ წერილის ამ ნაწილს არაფერი საერთო არა აქვს თემასთან, და ამიტომ გამოტოვებულ უნდა იქმნასო. ავტორი არა სთანხმდება: სწორედ რომ გითხრათ, მე ბიბლიოგრაფიული შენიშვნის დაწერა არა მსურდა, მე მხოლოდ მინდოდა აღმენიშნა, რომ ეხლანდელი რედაქციები ნიჭს გზას უხშობენო. როგორცა სჩანს, იდუმალი გულის ზრახვა სხვა ჰქონია და წერილისთვის კი „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“ დაურქმევია. ამას სჩადის განათლებული კაცი, ინტელიგენტი. თქვენ წარმოიდგინეთ ეხლა, რანაირს გულის ზრახვით არა ჰგზავნიან წერილებს ნაკლებად განვითარებულნი პირნი.

მაგრამ ამას კიდევ გაუძლებდა ადამიანი, ცოტაოდენი მოკრძალება ამიტომაა, რომ იგი ცოდვილებსაც კი აჯანყებულთა სახით გადმოგვცემს, რომელთაც იერიშით ზეცის აღებაც კი სურთ. ვიმეორებ რაფაელ სანციოს ცხოვრება ყოველივე ამას მოკლებული იყო და თვისი სულიერის ცხოვრების ასეთ ჰარმონიულ განწყობილებას თვის სურათებშიაც აწნავდა.

პირველ ხანებში რაფაელი კერძოდ მხატვარ ჰერუჯინისა, საერთოდ კი ეგრედ წოდებულ უმბრიის სკოლის მხატვრების ძლიერ გავლენას განიცდიდა, მისი მადონა კონნესტაბილე ძლიერ ცოტათი განსხვავდება უმბრიის სკოლის მხატვართა ნაწარმოებისაგან: ივივე სათუთი ნაწილები სახისა და იგივე მელანხოლიით სავსე მტრედის ფერი თვალები, როგორც ეს ჰერუჯინს უყვარდა.

როდესაც რაფაელი ჰერუჯინთან მუშაობდა, ჰერუჯინმა „ჯვარცმა“, „ამაღლება“ ტ ღვთისმშობლის ცხოვრებიდან აღებული ორი სურათი დახატა. მის სურათებს ნათლად აჩნია ჰერუჯინის სულის ვითარება: იგი მეტად წყნარი და გამქვრეტელი ცხოვრების მატარებელი იყო. რაფაელი ისეთივე თემას უდებს შინაარსად თვის სურათებს, როგორსაც ჰერუჯინი, მაგრამ თვის სურათებში მეტი სიცოცხლე და მოძრაობა შეგორც მიქელ ანჯელოს ნაწარმოებს ღრმად აზის ბეჭედი მისი მშფოთარე და სევდით აღსავსე სულისა, ისე რაფაელ სანციოს სინაზითა და სიყვარულით გაბრწყინვებული სული გამოჰკრთის მის ნაწარმოებთაგან. მისი ნაწარმოებნი სრულიად მოკლებული არიან აღშფოთებითა და სულის მღრღნელ ფიქრთა ნაკადით შექმნილ სურათებს. ყოველივე როგორც მის ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში ერთ ჰარმონიის ნაკადში იყრის თავს. აი რასა სწერს რაფაელზე ვაზასი: ყოველივე დარდი მსწრაფლ ჰქრებოდა მისი ამხანაგების სახეზე, ყოველნაირი შეუფერებელი აზრი ჰაერში იფანტებოდა, როდესაც რაფაელი გამოჩნდებოდა და თავისი სიყვარულით აღსავსე გამომეტყველებით ყველას გულს ინადირებდა. ვინც რაფაელისგანვე შექმნილ მის სურათს დაუკვირდება, იგი სრულიად დეთანხმება ვაზარის. სურათში მოსჩანს ინტელიგენტური და მეტად მიმზიდველი სახის, სინაზისა და გულწრფელობით აღსავსე თვალების ყმაწვილი. დიახ, რაფაელის სახეზე აღბეჭდილი ყოველი ნაოჭიც კი მჭერმეტყველურად დალაგებულ, რომ დიდებული მხატვრის ცხოვრება მოკლებული იყო ყოველნაირ კატასტროფას და უმაღლეს ჰარმონიით იყო მოცული. რაფაელისათვის უცნობი იყო ის სულის შემბუთველი და სიამის წამართმევი აზრთა სრბოლა, რომლითაც მოცული იყო „სულით ობოლი“ მიქელ ანჯელოს მრავალტანჯული სიცოცხლე. რაფაელის ხასიათში უფრო ქალის ხასიათის ელემენტები სჭარბობდა; იქ, სადაც მამა-კაცი ორ წუთსაც ვერ დაჰყოფდა, სადაც იგი სიკვდილს ამჯობინებდა, ვიდრე სიცოცხლეს, იქ დედა-კაცი უფრო ადვილად ეგუება და ურიგდება გარემოცულ პირობებს. აქ ადგილი არ არის ამ საკითხის გარჩევისა და მეც მხოლოდ ფაქტს ავღნიშნავ.

რაფაელი თვის სულს არ აწამებდა რაიმე მწარე შეკითხვებით და ყველგან მშვიდობისა და სიწყნარის დამკვიდრებას ესწრაფვოდა. როგორც ვხედავთ, რაფაელის ცხოვრება არსებითად განსხვავდება მიქელ ანჯელოს ცხოვრებისაგან, რომლის სულის ფოკუსში თავი მოეყარა მრავალ, მწარე სევდით მოცულ, საკითხებს და მოსვენებას არ აძლევდა მას. მიქელ ანჯელო მთელი თვისი არსებით ჰგრძნობდა, რომ „ქვეყანაზე მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ არ სუფევდა და ცხოვრების იდეალად მტკიცე და შეურყეველ ხასიათის მქონე პირთა გამრავლება დაესახა და თვის სურათებშიაც მათ გადმოგვცემდა.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲠᲐᲤᲐᲔᲚ ᲡᲐᲜᲪᲘᲝ

მე-16 საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპის მცხოვრებთა მსოფლ-მხედველობა ძირითადად განსხვავდებოდა მე-14 საუკ. მსოფლმხედველობისაგან. დიდებულ აღმოჩენათა გამო კაცობრიობის წინაშე გადაიშალა ჯერედ უცნობი უზარმაზარი ქვეყანა და ამცნო მას, რომ დედა-მიწა გაცილებით მეტია, ვიდრე მას ჰქონდა წარმოდგენილი. ამასთან ერთად დასავლეთ ევროპაში მძლავრად იფეთქა ძველი საბერძნეთისა და რომის მწერლობა. ხელოვნების შესწავლის სურვილმა და რაც უფრო ახლოს ეცნობოდა ადამიანი რომის და საბერძნეთის კულტურას, იგი მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ძველად კაცობრიობამ უკვე განიცადა ის გონებრივი განწყობილება და შემეცნებანი, რომელთამდის თანამედროვე საზოგადოებას მიეხწია.

დადებითი ცოდნა თანდათან იკიდებდა ფეხს დასავლეთ ევროპაში და ღრმად აფართოვებდა იმ დროის ადამიანის გონებრივ შემეცნებას. ამ მხრით პირველი ადგილი იტალიას ეჭირა. ხოლო იტალიაში კი გონებრივი წინამძღოლობის უმთავრეს ცენტრად ფლორენკია, რომი და მილანი იყო.

ამ საერთო კულტურულ აღორძინების ხანაში იტალიის ხელოვნება ჰყვაოდა. თვით საზოგადოებაც დიდის ყურადღებით ეპყრობოდა ხელოვნებას და როგორც „სასულიერო მთავრები“—პაპნი, ისე ერისკაცები, თავადები იწვევდნენ მხატვრებსა, მოქანდაკეთ და ხუროთმოძღვრებს სასახლეთა და ტაძართა ასაგებად, ქანდაკებათა გამოსაკიდად და კედლებისა და ჭერის სხვადასხვა სურათებით შესამკობლად.

თუმცა ამ დროის მხატვრები თვისი ნაწარმოების შინაარსს საღვთო წერილიდან იღებდნენ, მაგრამ ნამდვილ ბიბლიურ გადმოცემას აღარ აქცევდნენ ყურადღებას და უმეტეს ნაწილად თანამედროვე პაპთა, თავადთა, ბერთა და სხვას გამოსახავდნენ თავიანთ სურათებში. საერთოდ კი მხატვრების გულისყური ბერძენთა მითოლოგიას მიეპყრო. მე უკვე შემთხვევა მქონდა აღმენიშნა, რომ ბერძნები თავიანთ ღმერთებს ადამიანს უახლოვებდნენ და მით კაცის ბუნებას ამაღლებდნენ, ბერძენთა მითოლოგია—ეს გულუბრყვილო ლაღადისია ჯერედ შეურყვნელი ხალხისნობისა და სწორედ ამ მხრით იზიდავდა იგი იტალიელ მხატვართ.

იტალიელები ამ დროის მხატვრებს „ჩინკვეჩენტოს“ ეძახიან; ხელოვნების დასაწყისად ისინი 1110 წ. სთვლიან და ამისათვის მე-16 საუკუნის მხატვრებს „ჩინკვეჩენტოს“ უწოდებენ ე. ი. დასაწყისიდან მეხუთე საუკუნისას.

ამ დროის იტალიის ხელოვნების ნამდვილი პიონერები ლეონარდო და ვინჩი, მიქელ ანჯელო, ტიციანი და რაფაელი იყვნენ; ამათგან ლეონარდოსა და ანჯელოს უკვე შევეხე.

ჯეონარდო ხელოვნებას არა სთვლიდა მხოლოდ გარშემორტყმულ სინამდვილის გადმოსაცემ საშუალებად; ხელოვნება მისის აზრით ნაყოფია ადამიანის შინაგან გონებრივ მუშაობისა.

მიქელ ანჯელო თვის სურათებში ძლიერის ხასიათებით შემკობილ ბუმბერაზების გადმოცემას სცდილობდა. ტიციანი თვის სურათებში ქვეყნიური სილამაზის გამარჯვებადღესასწაულს გამოხატავს; მისი მითოლოგიური სურათები და პორტრეტები დიდებული გამოხატულებანი არიან კაცობრიობის შთამამავლობისა.

რაფაელი ფერადების მწყობრის შეერთებით შექმნილ მადონებში ქალწულის სინაზისა და ღრმად ჩაფიქრებულ სახეთ გადმოგვცემს. რაფაელ სანციოს სინაზითა და სიყვარულით გაბრწყინვებული სული გამოჰკრთის მის ნაწარმოებთაგან. მისი ნაწარმოებნი სრულიად მოკლებულნი არიან აღშფოთებითა და სულის მღრღნელ ფიქრთა ნაკადით შექმნილ სურათებს. ყოველივე როგორც მის ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში ერთ ჰარმონიის ნაკადში იყრის თავს. აი რასა სწერს რაფაელზე ვაზასი: ყოველივე დარდი მსწრაფლ ჰქრებოდა მისი ამხანაგების სახეზე, ყოველნაირი შეუფერებელი აზრი ჰაერში იფანტებოდა, როდესაც რაფაელი გამოჩნდებოდა და თავისი სიყვარულით აღსავსე გამომეტყველებით ყველას გულს ინადირებდა. ვინც რაფაელისგანვე შექმნილ მის სურათს დაუკვირდება, იგი სრულიად დეთანხმება ვაზარის. სურათში მოსჩანს ინტელიგენტური და მეტად მიმზიდველი სახის, სინაზისა და გულწრფელობით აღსავსე თვალების ყმაწვილი. დიახ, რაფაელის სახეზე აღბეჭდილი ყოველი ნაოჭიც კი მჭერმეტყველურად დალაგებულ, რომ დიდებული მხატვრის ცხოვრება მოკლებული იყო ყოველნაირ კატასტროფას და უმაღლეს ჰარმონიით იყო მოცული. რაფაელისათვის უცნობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინც რომა ჰქონდეთ. მაგრამ სწორედ უბედურებაა, როდესაც ამისანა მწერლებს თანა სდევთ მამლანწური ყოყლოჩინობა. ასეთი კი ბრავალია. მაგალითისთვის მოვიყანთ ერთს წერილს, რომელიც ამ დღეებში მიიღო რედაქციამ. აი, ეს წერილიც, რომელიც უცვლელად ბეჭდება:

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთით, მცირე (?) შენიშვნა გაუკეთო თქვენივე „სახალხო გაზეთს“. როდესაც ამა თუ იმ გაზეთის რედაქციას დასაბეჭდ წერილს უგზავნის ესა თუ ის პირი და მასთან უმორჩილესად სთხოვს უპასუხოს თავის კითხვაზე, **რედაქცია ხნეობრივად ყოველთვის ვალდებულია ყველა ამაგს ანგარიში გაუწიოს.** სხვა რომ არა—**უბრალო ხრდილობაც** მოითხოვს, მით უმეტეს მაშინ, **როდესაც** საპასუხო მარკას **ან** ღია **წერილს უგზავნიან.** მართალია, **ყველას** რომ პასუხი გასცეს **რედაქციამ** და ყველასთან მიწერ-მოწერა **გაართოს** ყოვლად **მოუხერხებელია,** მაგრამ **როდესაც** წერილი **რედაქციის მისამართია, ეხებოდეს** და არ იბეჭდება, და არც მიზეზს ეუბნებიან წერილის ავტორს, მაშინ **ცხადია** იქ რაღაც **„ძმა-ბიჭური“** ყაიდაზეა ანგარიში და როგორც ასეთი **„წერილი რედაქციის მიმართ“**—ის ავტორს, სრული ნება აქვს პროტესტი გამოუცხადოს ასეთ **რედაქციას.** იგულისხმეთ თქვენც ზემოთ აღწერილი, და პატივისცემით მიიღეთ ჩემგან **პროტესტი.** მეტიც გეკუთვნით, მაგრამ ვშიშობ შური არ იძიოთ ჩემზე, რადგან გაზეთიც, გარდაქმნილიც და **შოლტიც** თქვენთან ნადიმობენ **„ძმა-ბიჭურად“** მე კი **ყველა** ამაებს მოკლებული ვარ. (**არაფერი გეწყინოთ?!**).

პატივცემით ასკანელი პროკოფიმ.

—

P. S. **თუ** დაბეჭდავთ ამ წერილს, მაშინ **კიდევ** შეიძლება ითქვას თქვენზე **„მოქალაქობრივი სული“** კიდევ შერჩენიათ-თქო, **თუ** არა **და** **თქვენც** მიხვდებით თქვენს **„მოქალაქობრიულ სულის“ სიღარიბეს.** **ა. ბ.**

რომ ნათელი **გახდეს** მკითხველისთვის, **რამ** **გამოიწვია** ასეთი **გულისწყრომა** ავტორისა, **მოვასენებთ, რომ** იმისი **წერილი** შეეხებოდა **კერძო** ინცინდენტს, **რომელიც** **მოსვლია** **მას** ვიღაცასთან. **ამ** **წერილს** **კომენტარიები** **აღარ** **სჭირია.** **იგი** **თავის** **თავადაც** **მეტერ-ენტუველურად** **ასაბუთებს** **იმ** **აზრს,** **რომ** **ბევრი,** **ძალიან** **ბევრი,** ისე **უცქერის** **გაზეთს,** **როგორც** **პირად** **ინტერესებისა** **ან** **შელახულ** **თავ-მოყვარეობის** **დასაცველ** **დაწესებულებას.**

ამ **საგანზე** **იმდენს** **ხანს** **არ** **შევჩერდებოდით,** **მას** **რომ** **საზოგადოებრივ** **სენის** **ხასიათი** **არა** **ჰქონდეს.** **უნდა** **იცოდეს** **ბ-ნმა** **ასკანელმა** **პროკოფიმ** **და** **სხვებმაც,** **რომ** **ბეჭდვითი** **სიტყვას** **სულ** **სხვა** **დანიშნულება** **აქვს,** **რომ** **რედაქცია** **დანაშაულობას** **ჩაიდენს** **დანარჩენ** **სხვა** **მკითხველებთან,** **თუ** **წარა-მარა** **ისეთს** **ცნობებს** **დაბეჭდავს,** **რომ** **ამა** **და** **ამ** **კაცმა** **სიმთვრალის** **დროს** **ასკანელ** **პროკოფიას** **შეურაცყოფა** **მიაყენაო.** **ამასთანავე** **ერთად** **უნდა** **იცოდეს** **ბ-ნმა** **ასკანელმა** **პროკოფიამ** **და** **ყველამ,** **ვინც** **კი** **მასავით** **ფიქრობს,** **რომ** **საჭიროა** **ხრდილობიანი** **მოქცევა** **რედაქციისადმი.** **უნდა** **კარგად** **ახსოვდეს** **ისიც,** **რომ** **რახან** **რედაქცია** **წერილებს** **არა** **ჰბეჭდავს,** **ალბად** **აქვს** **საბუთი...**

შინაური.

ქუთაისის ვითარება

ეგზამენი, კლასში დარჩენა, გადასვლა-აი უმთავრესი სალაპარაკო ქუთაისში. 8 ათასი კაცი, პირდა-პირ დაინტერესებული ეგზამენებით, ამ მათი შობლები და აღმზრდელები კიდევ სხვა არიან და, რა საკვირველია, თუ ეგზამენი ყველას პირზე აკერია.

სიტყვა ეგზამენს უკანასკნელ ხანებში ზედ დაერთო სიტყვიერების მასწავლებელ იურკევსკის სახელი. ამ „დამსახურებულმა მასწავლებელმა“ იმით აალაპარაკა ხალხი, რომ ის აღმოჩნდა იმ კორესპონდენციის ავტორი, რომლითაც ათას გვარ ცილსა სწამებდა იმ გიმნაზიის ინსპექტორსა და დირექტორს, სადაც მასწავლებლად იყო. ეს გარემოება უკვე აღნიშნა „სახალხო გაზეთმა“ და ლაპარაკს აღარ გავაგრძელებთ—ვიტყვით მხოლოდ, რომ ქუთაისის გიმნაზიის ნადირექტორალმა ჩებიშმა და ინსპექტორმა საღარაძემ, იურკევსკი სამართალში მისცეს.

ეხლა სულ სხვა საქმე აღმოუჩნდა ბ-ნ იურკევსკის. მასა სწამებენ, რომ ეგზამენების დროს შარშან და წრეულს უფროსი კლასების მოსწავლეებს ქრთამებს ართმევდა და სამაგიეროდ წინდაწინვე აუწყებდა მათ რა თემა ექნებათ რუსულს ენაშიო. ამაზე დიდი ხანია ლაპარაკობენ ქუთაისში, მაგრამ მხილების ინიციატივას არავინ ტვირთულობდა. ასეთი როლი თავს უდვია სამღვთო-სჯულის მასწავლებელს დეკანოზ ერ. კანდელაკს, რომელსაც ქალაქში გავრცელებულ ხმებზე ულაპარაკნია რამდენიმე მასწავლებელთა შორის. ერთს ამ უკანასკნელთაგან უცნობებია დირექტორისთვის, ამ უკანასკნელს სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის და, ყოველივე ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ 78 დღისწინათ გიმნაზიაში გაჩნდა ოლქის ინსპექტორი სლოვინსკი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა თურმე გამოიძიოს იურკევსკი-კანდელაკის ინციდენტი.

რით გათავდება ეს საქმე წინდაწინ ძნელი სათქმელია, რადგან გამოძიება საიდუმლოებით არის მოცული.

მომავალი, რასაკვირველია, გვაჩვენებს რამდენად საფუძვლიანია დეკანოზი კანდელაკის ბრალდება, მაგრამ თვით აღძრა ასეთი საკითხისა იმისი მომასწავებელია, რომ საშუალო სასწავლებელში, საცა 700 მეტი მოსწავლეა, საქმე წესიერად არ არის წარმართული.

ეს ერთი მხარე საქმისა—მეორე ის არის, რომ მასწავლებელთა შორის აღძრულ განხეთქილებაში, მოსწავლეებიც ჩაურთეს. ოლქის ინსპექტორს ჩვენება ჩამოურთმევია უფროსი კლასების მოსწავლეთათვის—ქრთამი ხომ არ მიგიცია-თ სიტყვიერების მასწავლებლისთვისაო. ჩვენება ახალგაზდობისა, როგორც ისმის, ერთნაირი და შეთანხმებული არ არის, მაგრამ შესაძლებელია ასეთ საქმეში მოსწავლეთა ჩარევა?! თუ შესაძლებლად დაინახეს ასეთი დაკითხვა, ნუ თუ მოსახერხებლად დაინახავს სამოსწავლო მთავრობა, რომ ის მასწავლებელი, რომელსაც მექრთამეობა ბრალდებოდა, მავე გიმნაზიაში დასტოვოს?

* * *

დიდ არჩევნებს ჰატარა არჩევნები მოჰყვა—ბანკის რწმუნებულთაგან არჩეულმა პირებმა ზედამხედველ კომიტეტსა და გამგეობაში ძველ მოსამსახურე პირებთან ერთად აირჩიეს 4 დამფასებელი ნაცვლად თ-დ ნ. დგებუაძისა, თ-დი ფაღავასი და დ. ჩხეიძისა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ, ხოლო ერთი დამფასებელი წრეულს მოუმატეს.

დამფასებელი კომისიის წევრობის მსურველი ბევრი აღმოჩნდა, დიდი ხმის უმეტესობით აირჩიეს—ძველთაგანი თ-დი ი. ფაღავა, თ-დი დ. ჩხეიძე და ახლები: თ-დ ვლ. დადიანი და ბ-ნი ტიტე ართმელაძე, ხოლო კანდიდატებად—თ-ნი ნ. დგებუაძე, თ-დ ვ. მიქელაძე და ბ-ნი ან. მეფისაშვილი.

დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს ის გარემოება, რომ დამფასებელი კომისია თავმჯდომარედ ნამყოფი თ-დი ნ. დგებუაძე, რომელსაც 12 წლის სამსახური მიუძღვის ბანკში, დამფასებლად ხელ-მეორედ არ აირჩიეს. ბრალსა სდებენ ოპოზიციის მიერ არჩეულ კაცებს, რომ მათ არ დაუფასეს არც დიდი ხნის სამსახური თ-დი დგებუაძისა, არც მისი გამოცდილება, არც მისი ნივთიერად შეგვიწროვებული მდგომარეობა და მის მაგივრად გამოუცდელი პირები აირჩიესო.

თავის თავად ფაქტი ძველი დამფასებლის გაშვებისა იქნება საეჭვოველი მოვლენაც არ იყოს, თუ, მეტადრე, მის მოღვაწეობას თვალსაჩინო ნაკლი რამე არ ახლავს, მაგრამ არ გვესმის რა შეაშია აქ ან ოპოზიცია ან „პოზიცია“, როგორც აქ უწოდებენ გამგეობის პარტიას. ფარული კენჭის ყრით კრებამ გამოსთქვა თავისი აზრი იმ პირთა შესახებ, რომელნიც დამფასებლის ადგილს ეძიებდნენ და ვის უნდა დაადო ხელი—არა შენ მომეცი 7 შავი კენჭიო არა შენაო? ამის გამოძიება გარდა იმისა, რომ შეუწყარებელია, თვით ფარული კენჭის ყრის პრინციპსაც აბათილებს.

ბანკის რწმუნებულთა ერთ ჯგუფს აზრადა აქვს დამფასებელთა არჩევნები განასაჩივრონ, რადგან იგი მომხდარა უფრო ადრე, ვიდრე ძველ დამფასებლებს სამსახურის ვადა გაუვიდოდათ.

Piqué.

„ეამაზი სიტყვები და „ქვათა ღაღადი.“

(**გაკვრით**).

...„ქ. ერევანში, საქალაქო არჩევნების დროს სოციალისტებს, რომლებიც იქ უმრავლესობას შეადგენენ, აურჩევიათ წმინდად ერთი ქართველი, ბ-ნი კასრაძე... დიდება სოციალ-დემოკრატიას და მშურის კავშირის იდეას!. მას უკვე აქვს მოგზავნილი ნიადაგი“...

(**არტემიუსი**, **გაზ.** „**თემი**“, **№ 22**).

ზემოაღნიშნული ადგილი რომ ამოვიკითხე ჩემს კარგ ნაცნობის ახალგაზდა სომხის მწერალ ბ. არტემიუსის წერილიდან,—გულიანად გადავიხარხარე: ბ-ნი არტემიუსი, თუ დიდი კომიკი არ არის, ან მეტის-მეტი გულუბრყვილოა, ან გულუბრყვილოთა სთვლის ქართველ მკითხველ საზოგადოებას და განსაკუთრებით გაზეთ „თემისას“...

მოდი და მწარედ ნუ გაგეცინება, მკითხველო, როდესაც ბ-ნი არტემიუსი ესრედ, ყოვლად იმნიშვნელო და ‘ემთხვევითი ხასიათის ფაქტზე აშენებს თავის „კოსმოპოლიტურ“ წერილს, მაშინ, როდესაც ჩვენი სამკვიდრო-საბინადრო ქალაქებში ერთი ეროვნების წარმომადგენლების მიერ ჩადენილი მრავალი სამარცხვინო მაგალითები სულ სხვას ღაღადებენ.

ნეტავიც, თქვენის დღეგრძელობით, ჩვენ და ჩვენ მეზობელ ერთა შორის მართლა არსებობდეს, ყველა შეგნებულ ადამიანისათვის სანატრელი, მეზობელ ერთა სოლიდარობის ღირსეულად გამომსახველი საბუთები; ნეტავი კოსმოპოლიტიზმი ჩვენ დროში მრავალთათვის მხოლოდ ნიღაბი არ იყოს ეგოისტურ საქმეების დასაფარავად.

ჩვენ, ქართველებს, აღარა გვჭირია „ძილის პირის“ საგალობელი: უმისოთაც მაკარი ძილითა ვართ შეპყრობილი; ჩვენ ჩაუგონებლადაც მართლაც გულუბრყვილოდ ვენდობით ხოლმე თითქმის ყველას. ყოველ მხრიდან მიეზიდებიან, არამც თუ ჩვენს სარჩოსაბადებელს და მიჯა-წყალს, არამედ დასცინიან თვით ჩვენ სახელსაც, ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას...

განა ლამაზის, მოქარგულის სიტყვებით მოსახერხებელი-კია კაცმა დაჭფაროს ჩვენი მეზობლების მიერ ჩადენილი მრავალი შოვინისტური საქმენი, რაზედაც „ქვანიც კი ღაღადებენ!?...“ რატომ არ გინდათ, ჩვენც ანგარიში გაუწიოთ იმ მოვლენას, რომ ეხლა ყველა ეროვნებას წითელი ზოლივით გაჰყავს თვისი ეროვნული პროგრამა... კერძოდ კი მოგახსენებთ, რომ სირცხვილიც არის ერთა სოლიდარობის გამომსახველად მოიყვანოს ისეთი უჩინარი და უმნიშვნელო მაგალითი, როგორიც სომხეთის ქალაქ ერევანში (რომლის თითქმის მთელი მცხოვრებთა რიცხვი სომხებისაგან შესდგება), რაღაც მოსაზრებით ხმოსნად აურჩევიათ ერთად-ერთი ქართველიც ბ. კასრაძე, რომელსაც ქალაქის საქმეების მოწყობაში ისეთივე გავლენა ექმნება, როგორც მე და ბ-ნ არტემიუსს ჩინეთის სახელმწიფოებრივ საქმეების მოწესრიგებაში და ასეთი მაგალითი ქართველთა ინტერესებისთვის იმდენადვე სასარგებლო და საყურადღებოა, როგორც შარშანდელი თოვლი...

ჩვენ სადაც კი ვიხსენიებით და სადაც ჩვენი ინტერესების დაცვა შეეძლებათ ჩვენს წარმომადგენლებს,—ეს არის ჩვენი დედა-ქალაქი ტფილისი და პროვინციებიდგან: თელავი, სიღნაღი, გორი, ახალციხე და სხ., სადაც სამწუხაროდ, ვხედავთ ჩვენი მეზობლებისგან ჩვენდამი სამარცხვინო მოქცევას, დაბრიყვების პოლიტიკას.. ნუ იფიქრებთ, რომ ეს სავალალო მაგალითები ოდესმე დაივიწყოს ხალხმა... ამ მოვლენაზე რაც შეიძლება ხშირად უნდა მოგონოთ ხოლმე ბ. არტემიუს, და მოგონოთ **ხომხურ პრესაში** თქვენ თანამოძმეთ, თორე ჩვენ ზედმეტად აღარ ვსაჭიროებთ

ეროვნული

ნერილი სამგრედიიდან

მოახლოვდა აბრეშუმის ჰარკის გამოტანა ბაზარში. ორ-სამ დღეში სოფლებიდან დიდის სიძლიერით დენას დაიწყებს მშრომელი ხალხი თავის ნაშრომის გასაყიდად აქაური ჩარჩებიც დიდ სამზადისში არიან. ესენი ყოველ ზომებს ღებულობენ, რომ საწყალი ხალხისაგან სისხლით და ოფლით მონაგარი მუქთად ჩაიგდონ ხელში. სხვა და სხვა ქალაქებიდან ჩვეულებისამებრ ჰარკის საყიდლად სომხები და თათრები ჩამოვიდნენ. ესენი აქაურ ვაჭრებს დიდ მეტოქეობას გაუწევენ;—ამ უკანასკნელებს ეს მეტოქეობა ძილს უფრთხობს და მისი თავიდან ასაშორებლად ზომებს ღებულობენ. მაშინ, როდესაც აქაური ვაჭრები ჰფიქრობენ 11 მანეთით განიხრონ ჰარკის ფასი, მოსულები უსათუოდ მეტს გამოიღებენ. ამ მეტოქეობის წყალობით, იდგილობრივ ჩარჩების მხრივ საწყალი ხალხის გაძვალტყაევებას რამოდენიმედ ფრთები ეკვეცება. ამისათვის 15 ივნისს მათ კრება მოახდინეს. კრების მიზანი იყო ხელშეკრულობის მოხდენა ერთმანეთ შორის, რომლის თანახმად ჰარკის ფასი 11 მანეთს ზევით არ უნდა აწეულიყო.

ამ კომბინაციაში მხოლოდ ერთ ჩამოსულ თათარს ბ. მამედოვს არ მიუღია მონაწილეობა,—ის განზედ გაუდგა სხვებს და ამბობს, სამართლიან ფასებში ვიყიდიო.

საბედნიეროდ, კრებამ თავის მიზანს ვერ მიაღწია: ღამის 10 საათზე მათ დაეცა ადგილობრივი ბოქაული, კრებაზე დამსწრეთა სახელი და გვარი ჩამოიწერა და ოქმს ადგენს უმაღლეს მთავრობასთან წარსადგენად. კრებაზე სხვათა შორის ყოფილან ისეთი გამოჩენილი ვაჭრები, როგორიც არიან: იოსებ ქართველიშვილი, სტეფანე და ივანე სტურუები, თომა თოდრიძე, ფილიპე კაცაძე, მაქსიმე გუგუნავა, ლუკა მამალაძე, რომანოზ ახობაძე და სხვები. მეორე დილით დაფაცურდნენ ვაჭრები. დაიწყო მოქიქულობა და მიგზავნ-მოგზავნა ბოქაულთან საქმის ჩასაფუჩეჩებლად, მაგრამ ბოქაული უფრო მაგარი გამოდგა ვიდრე მათ ეგონათ და ჯერ-ჯერობით ვერაფერს გახდნენ. ამას თან მცხოვრებლებმაც თავისი მხრივ ბოქაულს დეპუტაცია გაუგზავნეს თხოვნით, რომ ამ საქმეს მსვლელობა მისცეს.

როგორც გადმომცეს, ვაჭრებიდან მოციქულთა შორის ეკ. ბ-ნი რ. ნანეიშვილიც ყოფილა. სხვა რომ **არ** იყოს-რა, სირცხვილია ასეთი საქმის ჩადენა იმ პირისაგან, რომელსაც თავი საზოგადო მოღვაწედ მოაქვს. ვერ გაგვიგია, რა მოსაზრებით მოუნდა მას ამ ჩარჩების ხსნა!..

ეს ფაქტი ვაჭრების მხრივ ნამდვილი ავაზაკობაა. სიბერეა მათი ალაგმვა. ამისათვის თვით გამყიდველებმა და ადგილობრივმა ინტელიგენციამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ამას და მათ გაუმაძღრობას საზღვარი დაუდოს.

მეხამიხტა.

ალბანეთის აჯანყება

დეპეშები

16 ოდაბოგე.

ციტინიე. აქ ალბანელთა მრავალი მეთაური შეიკრიბა. არიან წარმომადგენელნი რეგოლიუციონურ კომიტეტებისა და კათოლიკე მღვდლები. ესენი პროპაგანდას ეწევიან. ოსმალეთის ელჩმა იზმაილ ბეისა და გორაკუკის, ნეაპოლიტანის კომიტეტის თავმჯდომარეს დაავალა, ალბანურ ენაზე გადათარგმნონ ის დაპირებანი, რომელიც ელჩმა აჯანყებულთ პოდგორიცაში მისცა.

ყოველ-დღე შოდის ამბები, მალისორები ოსმალეთის ჯარს არ ასვენებენო. ისმის თოფისა და ზარბაზნის ხმა. გუშინ მოჰკლეს გაპარჩენილი ალბანელი პიკაკშაბოვი. მდინარე ბოიანზე ოსმალებს მაშველი ჯარი მიუვიდათ.

გაზეთებიდან

ამ თვის თოთხმეტს გავიდა 10 დღის ვადა, რომელიც ალბანელებს თურღუთ-ფაშამ დაუდო და რომლის განმავლობაშიაც ალბანელებმა თავიანთი მოთხოვნილებანი და გადაჭრილი პასუხი უნდა მიეცათ. რა პასუხი მისცეს ალბანელებმა თურღუთ-ფაშას—დეპეშებიდან უკვე ვიცით („სახ. გაზ.“ **№ 328**). ამ დღეებში დაიბეჭდება კიდევ მოწოდება, რომლითაც ალბანელებმა უცხო სახელმწიფოთ მიჰმართეს. ეს მოწოდება და მემორანდუმი ნათელსა ჰფენს ალბანეთის მთელ საქმეს და გარკვევით გვიჩვენებს, თუ რასა თხოულობენ ალბანელები. ამით ალბანელებმა ოსმალეთის მთავრობას თავიანთი მოთხოვნილება გადაჭრით და ოფიციალურად წარუდგინეს. ამიტომ ეხლა დადგა გამწვავებული მომენტი. ალბანელები ადგან: მცხოვრებლები მეტად ურწმუნო და ცოდვილნი არიან. იგინი მხოლოდ თვის გულის ზრახვათ აჰყოლიან და მწარედ დასცინიან ჭეშმარიტ სარწმუნოებას; იგინი ეკლესიაში მიდიან მხოლოდ იმ აზრით, რომ ხალხის ცხად შეცდომას არ ეურჩებიან. მათ წმ. ანტონისა და წმ. სებასტიანეს უფრო ეშინიათ, ვიდრე თვით ქრისტესი, რადგან მის აზრით ხსენებულ წმიდანებს ძალუძთ ხალხს სხვა-და-სხვა მოაროული მოუვლინონ. მათ არ იციან სიტყვა ღვთისა, არა სწამთ მკვდრეთით აღდგომა და საუკუნო ცხოვრება; რამდენიმე კვირის განმავლობაში იტალიელნი კარნავალის დღესასწაულობის დროს საშინელ გარყვნილებას ეძღვნიან.

რაფაელი ღვიძლი შვილი იყო თვისი დროისა. ამ ახალი მქადაგებლის სიტყვებმა იგი ღრმად ჩაფიქრა და ჭეშმარიტებრივი გრძნობა ძალზე განუღვიძა. იგი წარიტაცა ფიქრებმა სულსა და სიკვდილზე და ჩაჰკლა მასში ძველი, ანტიური ქვეყნისადმი ლტოლვა და ცხატვარი ელინთა სულით გაჟღენთილი ღრმად მორწმუნე ქრისტიანულ მხატვრად გარდაიქმნა. სწორედ ამ დროს ახწევს რაფაელი უმაღლეს წერტილს სხვადასხვა მხატვართა სტილების შეერთება-გარდაქმნისას, რადგან იგი ზორციელ სილამაზეს სულიერ სილამაზეში აქსოვს და მით მათ შორის ჰარმონიას აფუძნებს.

სურათი „წმიდა ცეცილია“-ში, რაფაელს პავლე მოციქული ლეონარდოს სურათ „მოგვთა თაყვანისცემიდან აქვს გადმოღებული, ხოლო მაგდალინა კი მხატვარ სებასტიანეს მიერ შექმნილ მაგდალინას ტიპებს მოგვაგონებს, თვით ცეცილია კი თვისი ღრმად ჩაფიქრებულის გამომეტყველებით სრულიად ახალია: იგი რაფაელის ნამდვილი შემოქმედებაა, რაფაელის სულის სრული განსახიერება-გადმოცემა. რაფაელის სურათი „სიქსტინის მადონა“-ში რაფაელი ფორმალურ სილამაზეს სულიერ სილამაზეში აქსოვს და მით უკვდავსა ხდის თვის დიდებულ და ძალიან ქნარს.

ალ. წერეთელი

აქვს, ვიდრე პერუჯინს. იგი ჰქმნის **წმ. გიორგის სურათს**, რომელშიაც მერანზე მჯდომი წმ. გიორგი მახვილით ხელში მიიწევს საშინელ გველეშაპისაკენ; ცხენი, **რომელ**ზედაც წმ. გიორგი ზის, რაფაელს ძველ დიოსკურების ცხენთა გროვასაგან აქვს აღებული, ასე რომ ეს სურათი რაფაელში ძველ ქვეყნისადმი ლტოლვას ამხილებს. რაფაელის ჰატარა სურათი „ამოდონა და მარსი“, რომელიც ქალაქ ლუვრში იმყოფება, ნამდვილი ნაშთია ანტიური ქვეყნისა.

ფლორენციაში ყოფნის დროს რაფაელი ხარბად ეწაფება როგორც ძველი ისე თანამედროვე მხატვართა ნაწარმოებთა შესწავლას. იგი აქ უფრო ლეონარდოს გულმხურვალე მოწაფეა. რაფაელი ფლორენციაში ჰქმნის მადონების მთელს წყებს: მადონა მწვანედ აბიბინებულ მდელოზე, მადონა **Bellejardiniere** და სხვ. რაფაელის გამოსახვით წმ. ქალწული მარიამი არ არის არაამქვეყნიური სილამაზის მქონე არსება; იგი მოკლებულია იმ უმაღლეს სინაზეს, რომლითაც მას ლეონარდო გვიხატავდა და მის სახეზე მხოლოდ სიწყნარე და მიმხიდველობაა აღბეჭდილი.

სურათში **რომელიც**, ქრისტეს საფლავში ჩასვენებას გადმოგვცემს, ცხადად **სჩანს** **გავლენა** **როგორც** **პერუჯინისა,** ისე **მიქელ** **ანჯელოსი,** **მაგალითად** **ქრისტეს** **სხეული** **რაფაელს** **მიქელ** **ანჯელოს** **სურათიდან** **აქვს** **აღებული,** **აგრედვე** **მის** **სურათში** **მარჯვნივ** **მჯდომარე** **დედაკაცი** **მიქელ** **ანჯელოს** **სურათიდან** „**წმ. ოჯახი**“-დან **უნდა** **იყოს** **გადმოღებული.**

რომში **რაფაელის** **ქნარი** **უმაღლეს** **წერტილს** **აწევს;** **თითქოს** **მის** **შემოქმედებაზე** **რომს,** **ამ** **საუკუნო** **ქალაქს,** **თვის** **წარსულ** **სიდიადის** **მრავალი** **ნაშთებით** **ძლიერი** **გავლენა** **მოეპოვებინოს.** **პაპების** **ვატიკანში** **რაფაელი** „**დისპუტს**“ **და** „**პაპის** **დეკრეტის**“ **გამოსახვას** **ათავსებს,** **რომელშიაც** **კიდევ** **გამოხჩანს** **ნათესაობა** **სურათებისა** **რაფაელის** **შიერ** **ფლორენციაში** **შექმნილ** **ნაწარმოებთან.** **მხოლოდ** **სურათში** „**ათინას** **შვეიცა**“. **თითქოს** **ჩნდება** **ახალი** **მხატვარი.** **სურათი** **ძველ** **საბერძნეთის** **მსწავლულებსა** **და** **მოაზრეებს** **გადმოგვცემს.** **როგორც** **ამ** **სურათში,** **ისე** **სურათში,** **სადაც** **კონსტანტინეს** **გამარჯვებაა** **გადმოცემული,** **რაფაელი** **ხელოვნურად** **გადმოცემული** **სახეთა** **გამომეტყველებით,** **ნაწილების** **მწყობრი** **კომპოზიციითა** **და** **ფიგურების** **განსაკუთრებითი** **დაწყობით** **გვაძლევს** **ისტორიულ-სიმბოლიურ** **გამოხატულებათ,** **რომელნიც** **მოგვითხრობენ** **დიდებულ** **მომენტთა** **და** **მთელ** **ეპოქათა** **მნიშვნელობაზე.**

მე-XVI **საუკუნე** **ინდივიდუალიზმის** **ეპოქა** **იყო.** **მხატვრები,** **რომელნიც** **სიქსიტინის** **კაპელაში** **მუშაობდნენ,** **ყველანი** **ერთი-ერთის** **დაუხმარებლად** **ასრულებდნენ** **თავიანთ** **სამუშაოს.** **მიქელ** **ანჯელო,** **როდესაც** **თვის** **ნაწარმოებს** **იმუშავებდა,** **სრულიად** **დამოუკიდებლად** **და** **დაუხმარებლად** **ასრულებდა** **მათ,** **ხოლო** **რაფაელი** **გარიცდიდა** **რა** **თვით** **სხვა** **მხატვართა** **გავლენას,** **თვის** **ხელმძღვანელობით** **და** **გეგეის** **მიცემით** **მრავალ** **ხელოსანს** **ამუშავებდა,** **ისე** **რომ** **ინდივიდუალური** **ნაწარმოების** **ადგილს** **ისეთი** **ნაწარმოებნი** **იჭერენ,** **რომელნიც** **ნაყოფი** **იყვნენ** **საერთო** **კოლექტიური** **მუშაობისა.**

რაფაელის **შიერ** **შექმნილი** **სიმბოლები** **შეერთებაა** **მიქელ** **ანჯელოსა** **და** **რაფაელის** **სტილისა.** **მათში** **ნათლად** **გამოკრთის** **ანჯელოს** **პლასტიკური** **მემუშავება** **ფორმისა** **და** **რაფაელის** **განწყობილების** **სასიამოვნო** **რითმი.**

ვატიკანში **რაფაელმა** **ისეთი** **სურათები** **დახატა,** **რომელნიც** **ძლიერ** **ახლოსა** **სდგანან** **ძველი** **ქვეყნის** **ხელოვნებასთან:** **სურათებში** **გამოსჩანს** **ოლიმპიის** **მხიარული** **სცენები,** **ფრინველები** **და** **ქალიშვილები,** **რომელნიც** **ნაზად** **ირხევიან** **ფოთლებით** **შემოსილ** **მცენარეთა** **შორის.**

ანტიური **ქვეყნის** **სული** **გამოსჭვივის** **რაფაელის** **იმ** **სურათებშიც,** **რომელიც** **თვალების** **აბმას** **და,** **მით** **უმეტეს,** **სოლიდარულ-მეზობლურ** **ცხოვრებაზედ** **ქადაგებას,** **ვინაიდან,** **ვინც** **კი** **განგებ** **თვალებს** **არა** **ჰხუჭავს,** **აშკარად** **დაინახავს,** **როგორც** **თანამედროვე,** **აგრეთვე** **მრავალ** **განვლილ** **საუკუნეების** **ისტორიულ** **ცხოვრებიდან,** **რომ** **საზოგადოდ** **ქარიშხალიანი,** **მეზობლის** **გამტანია,** **ჰუმარილიანი,** **სტუმართმოყვარე** **და** **ყოველთვის** **მზად** **არის** **შეითვისოს** **და** **ძმური** **ხელი** **გაუწოდოს** „**მეზობლურ,** **სოლიდარულ** **კავშირის** **იდეას**“...

გ. ბ—ციხელი

რალის დაყრას არ აპირებენ. თურლუთ-ფაშა იმუქრებოდა, თუ არ დამნებდებიან უკანასკნელ პოზიციებამდის მივყვები, თუნდა პოზიციები სხვის მიწა-წყალზე იყოსო (ე. ი. ჩერნოგორიაში) და მთლად გავწყვეტავო. ალბანელთა მოთხოვნილებანი იმდენად ეწინააღმდეგება მთავრობის სურვილებს, რომ მორიგება ძნელი მოსალოდნელია. აასრულებს თურლუთ-ფაშა თავის მუქარას თუ არა, ამასაც მომავალი გვიჩვენებს. ცხადია მხოლოდ ერთი რამ: ალბანელები არა სცხრებიან. კრებებზე ეტყობოდათ, რომ დათმობას არა ჰფიქრობენ, ძალიან აღელვებულნი არიან და გამარჯვების იმედიც აქვთ. როცა ოსმალეთის ელჩი სადრედინ-ბეი ალბანელებთან იყო მოსალაპარაკებლად, ჯერ პოდგორიცაში, სადაც ალბანელთა წარმომადგენლებიც მივიდნენ და მერე ტუზაში, ბრძოლის ველზე, ვერას გახდა და ცეტინიეში ხელ-ცარიელი დაბრუნდა. მემორანდუმმაც ცუდად იმოქმედა ოსმალეთის დიპლომატიურ მისიაზე. მისიამ განაცხადა, ამის შემდეგ მორიგების უკანასკნელი იმედი გაჰქრაო. მართალია ოსმალებს ეტყობოდათ, რომ დათმობა უნდოდათ, მაგრამ ვერ მოუნელებიათ მემორანდუმის ის მუხლები, რომლებიც ალბანეთის თვით-მმართველობას ითხოვენ.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 თიბათვე.

საზღვარ-გარეთ.

სტამბოლი. ოტტომანის სააგენტო იტყობინება, შინაგან საქმეთა მინისტრი საზოგადოს საქმეების მინისტრობას ჩაიბარებსო, მის ადგილს ვაკუფთა მინისტრი ხაირი ინიშნება.

პოლიციამ ინგლისის საწინააღმდეგო კონფერენცია აღკრძალა. დაჰკეტეს გაზეთები „სენინი“ და „ტანზიმატი“.

მადრიდი. შინაგან საქმეთა მინისტრი ვალიასო გადადგა. მის ადგილას იუსტიციის მინისტრი ბორაზო დაინიშნა, ბორაზოს მაგივრად კანალეხასი. მთავრობამ შეუმდგომლობა აღძრა პაპთან ელჩად დანიშნოს ნამინისტრალი ნავორო-რევირტერი.

პარიზი. მინისტრთა საბჭომ დეკლარაცია საბოლოოდ შეიმუშავა.

პარიზი. ჰავასს ლარაშიდან 14 თიბათვეს ატყობინებდნენ: მოვიდა ისპანელთა რაზმი, რომელშიც 62 კაცი იყო, თან 100 უუთი პატრონა და 60 უუმბარა მოიტანეს. ეს იარაღი ელკარისათვისა დანიშნული.

ელკარიდან იტყობინებიან, კაპიტანმა სილვესტრმა მდინარე ლეკუსის მიდამოები დაზვერაო. ეს იმას მოასწავებს, რომ ისპანელები უეზანისკენ აპირებენ გამგზავრებასაო. მთიელები ამბობენ, ისპანელების მოძრაობას ხელს შეეუშლითო. ფეციდან იტყობინებიან 13 თიბათვეს მუანიე ელკაებას მივიდაო.

ლონდონი. რეიტერს ხოდეიდიდან ატყობინებენ თიბათვის 13 ოსმალებმა არაბებიან ბრძოლაში 2000 კაცი დაჰკარგესო.

პარიზი. დეკლარაცია პალატაში კაიომ წაიკითხა, სენატში—კრიუპპი. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ პალატამ ჯერ მკლვინეთა რაიონი უნდა გაჰყოს და მერე საარჩევნო რეფორმა მოახდინოსო. მთავრობა თხოულობს, რომ საეროვნო სკოლებს მხარი დაუჭირონ და ხარჯები დაამტკიცონ. მთავრობას ჰსურს შეინარჩუნოს მეგობრები და ძვირფასი კავშირები და გაძლიერებულ ჯარისა და ფლოტის მეოხებით საფრანგეთის სახელი დაიცვას. დეკლარაცია ასე თავდება: „ჩვენი პროგრამმა პროგრამმაა მთავრობისა, რომელიც სოციალურ განვითარების პოლიტიკას ეწევა და რესპუბლიკანურ წეწ-წყობილებას იცავს“. დეკლარაციას პალატაში უმრავლესობა

ტაშის კვრით დახვდა. სენატი უფრო თავ-შეკავებულად იქცეოდა.

რუსეთი.

პეტერბურგი. დამსახურებული ორდინარული პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტისა გეორგიევსკი შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის დირექტორად დაინიშნა.

სატარიფო კომიტეტმა დაადგინა „პატენტიკებისათვის“ რკინის გზის მესამე კლასით მოგზაურობა 1/4 შემცირდეს.

ოდესა. ის ცნობა, ვითომც პრუსიის კომისია მოვიდაო, სწორე არ არის. მოვიდა მხოლოდ კომისია, რომელმაც ჯარში ახლად გაწვეული გერმანელი უნდა მოჰკრიბოს.

კიევი. ბესარაბიაში წვიმებმა ნათესი და ვენახები გააფუჭა.

ვიატკა. 14 და 15 თიბათვეს პეხმა 43 კაცი მოჰკლა.

თ. ბ. ამირეჯიბისა და ს. ყიფიანის საძმე

(მედიატორეთა დადგენილება).

18 ივნისს 1911 წელს შეეკრიბენით მედიატორეები: სვ. ყიფიანის მხრით ვ. ა. დემიდოვი და გ. ს. რცხილაძე, ხოლო გ. ი. ამირეჯიბის მხრით ი. ა. ბარათაშვილი და ნ. მ. ლორთქიფანიძე, რომელთაც ამოვირჩიეთ თავმჯდომარედ ა. ბ. მდივანი.

მივიღეთ რა მხედველობაში წინადადება ს. ყიფიანის მედიატორთა, რომ ბ. ყიფიანს შეუძლიან წარმოადგინოს საბუთები მხოლოდ სექტემბერში, აგრეთვე ის, რომ მედიატორეები მიდიან ტფილისიდან სხვა და სხვა საქმეების გამო, დავადგინეთ: გადაიდოს საქმის გარჩევა სექტემბრისათვის; მხოლოდ თუ მხარეები მოისურვებენ უფრო ადრე საქმის გარჩევას, მათ შეუძლიათ ამოირჩიონ სხვა მედიატორეები და ჩვენ განთავისუფლებული ვიქნებით ჩვენის მოვალეობისაგან.

თავმჯდომარე **ალ. მდივანი.**

ნ. ლორთქიფანიძე.
ი. ბარათაშვილი.
გ. რცხილაძე.
ვ. დემიდოვი.

(წევრები)

ღია წერილი

(მერევის ორ-კლასიან სასწავლებლის მასწავლებელს აგაფონ გუნიავას).

რადგანაც უკვე წამოვედი ქიათურიდან და აგვისტოს ოცდა ხუთამდის აღარც ვაპირებ მანდ დაბრუნებას, ამიტომ გთხოვთ გამანთავისუფლოთ მედიატორობიდან.

ივ. გომელაური.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ ეს წერილი თქვენს პატივცემულ გაზეთში.

როგორც გავიგე, კვირას 19 ამა ივნის უნდა მოხდეს საერთო კრება იმ წრისა, რომელიც მართავს ქართულ წარმოდგენებს ზუბალაშვილის სახალხო სახლში. მასთან ერთად მოხდება ახალი გამგეობის არჩევნები; ამის გამო უმორჩილესად ვსთხოვ საერთო კრებას საშუალება მოსცეს გამოვაქვეყნო ყოველივე ის უთანხმოება, რომელიც მოხდა წელს თებერვალში ჩემსა და გამგეობის წევრთა შორის, რის გამოც სრულიად უსაბუთოდ ჩამომაშორეს სახალხო საქმეს. კამათი გაზეთებში იყო ჩემსა და სვიმონ ჯუღელის შორის. თუ რამ გამოიწვია ან რითი გათავდა ეს კამათი, ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის. ჩემი ასეთი უსაბუთო ჩამოშორება შეურაცყოფად მიმაჩნია და ვცდილობდი ამ საქმისთვის დღემდის ბოლო მომეღო, გამეცა პასუხი ს. ჯუღელისათვის, დამემტკიცებინა იმის უკანასკნელი წერილის (ზ. რ. № 36) სიცრუვე და აგრედვე შემესწორებინა ერთი შეცდომა, რომელიც იყო თვით ჩემს წერილში (ზ. რ. № 32) და ამ ბოლო დროს წერილით მივმართე გამგეობის თავჯდომარეს ბ. ვახვახიშვილს, რომელშიაც ვთხოვდი შეეტყობინებინა მიზეზი ჩემის დათხოვნისა ამ მუშაობიდან, და ამასთანავე უხსნიდი რამდენად სიმართლეს მოკლებული იყო ს. ჯუღელის წერილი, მაგრამ პასუხი არ მაღირსეს.

ამასთანავე ვაცხადებ, რომ თუ გამგეობის წევრები არჩევნებამდი კრების, დროს, მაინც არ მომცემენ საშუალებას თავი ვიმართლო და გამოვაქვეყნო კრებაში ყოველივე შინაარსი ამ უთანხმოებისა, მაშინ მე ამგვარ საქციელს, გამგეობის მხრით მოხდა თუ სხვა ვისიმე მხრივ, მოწინააღმდეგეთ ჩავთვლი იმ საქციელის, ჩამდენად, რომელნიც სტყუიან ჩემთან ან კიდევ მივაწერ იმას, რომ გამგეობა იმყოფება ჩემ მოწინააღმდეგეთა გავლენის ქვეშ და სრულიად არ შეეფერებიან იმ პირთ, რომელნიც ღირსნი არიან ეგდგნენ სახალხო საქმეს თავში.

სცენის მოყვარე **გ. თაზიშვილი.**

ჩვენი ფოსტა

ბაქო. ბ ნ მკითხველს. თქვენი წერილი წავიკითხეთ, მაგრამ მისი დაბეჭდვა ცოტა მოუხერხებელია. ჩვენ გვგონია, საკმარისია ის იც, რაც ამ საგნის შესახებ ითქვა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲓᲝᲥᲢ. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

ᲧᲝᲕᲚᲔᲓ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲔᲑᲡ ᲙᲐᲠᲓᲐ
ᲓᲐᲐᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1880 ᲬᲚᲘᲡ.
(ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ)

ᲓᲘᲚᲘᲗ:

ბ. ა. ნავახარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ე. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შიგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგნი ბავშვთა ავად.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ლ. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ვარცაშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. 606 ᲛᲐᲛᲚᲝᲒᲐ, ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲣᲠᲐᲓ.

რჩევა 50 კ. დარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავახარდიანი.

(წ. (1168—64)

ᲛᲣᲨᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲒᲐᲮᲡᲜᲐ

მუდმივის-საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ატენიანცი ნ. ბ. ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

ნ. ვ. ახპახოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ბ. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ბ. ბ. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან ლილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

კ. ბ. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ბ. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკარიანი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ბ. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოხანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს

გ. ბ. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ—6 ს.

ტ ნ. ტერ-ნერსესიანი— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე **ექ. ბ. ი. გრიგორიანი.** № 646. 100—5 (0—1003—92)

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ

ᲛᲐᲗᲔᲛᲐ. ᲗᲘᲙᲝᲜᲘ

მეოთხე კურსისა ეძებს გაკვეთილებს ტფილისში ან ტფილისის გარედ.

იკითხეთ სამეურნეო ბანკში (სახ. სარაჯიშვილისა, სასახლ. ქ.). (3—1352—2)

ᲛᲝᲨᲝᲑᲘᲐᲠᲔᲗᲐᲗᲐᲕᲘᲡ

ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲒᲔᲒᲘᲐ-ᲥᲐᲚᲘᲡ ᲗᲣᲮᲐᲠᲔᲚᲘᲡᲐ.

ᲝᲚᲒᲐᲮ ქ., ᲮᲐᲑᲔᲑᲘᲗ ᲘᲜᲡᲢᲘᲢ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებენ ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6-7-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—55)

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲨᲦᲕᲔᲕ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ
„ᲕᲝᲚᲒᲘᲡ“ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ

ᲒᲘᲒᲩᲐ ᲗᲝᲠᲘᲫᲔ

ᲡᲣᲠᲐᲛᲘᲡᲐ ალექსი ჯობაძის საადგილ-მამულოში კვირა-უქმეებით დებულობს დასაზღვევად უძრავ-მოძრავ ქონებას

1—672—1)

Ქ. ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡᲨᲘ

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

ᲥᲠᲐ-ᲙᲔᲠᲕᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ

თვით-ასწავლებელი, 128 ნახატით ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ფურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერვა შეიძლება ფასდადებითაც. ადგილი: Въ г. Теланъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—47)

Метцль. 32829. (6—1139—5

ᲡᲣᲚᲮᲣᲜᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲓᲒᲔᲒ

ახალი წამალი

„SALO-ᲞᲘᲩᲘᲚᲘᲜᲘ“

ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ და საფუძვლიანად ᲰᲛᲥᲛᲔᲓᲘᲡᲗᲡ და ექიმთა აზრით კონიგრულ სამუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ᲫᲔᲒᲡ. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

ᲐᲒᲠᲔᲓᲕᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲛᲝᲬᲘᲤᲔᲚᲘ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲠᲘᲡ ᲜᲐᲠᲔᲛᲝᲑᲘᲡᲐᲪ ᲐᲩᲔᲠᲔᲑᲡ.

დიპლ: Петербургъ. Разъѣзжая N 7, Аптека В. Конгейма.

ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. კავკასიის საადგილო საქონლით მოვაჭრე საზოგადოებაში იმოვება.

Метцль. 12429. (45—1014—19)

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს ქალ-ვაჟს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის

ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲗ:

სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, ეპარქიულ სასწავლებლისთვის, ტექნიკურ, საფერწლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრედვე პოვიალნი ინსტიტუტისა, მიიღებს **ᲞᲔᲠᲔᲒᲖᲐᲛᲔᲜᲝᲛᲫᲘᲐᲜᲔᲑᲔᲑᲡᲐᲪ.**

ამზადებს ერთ და ორ კლასიან მსწავლებლობის ხარისხზე.—ყველა კლასის ჩინზე. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებს.

მეცადინეობა იქნება სამ ალაგას: ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, ვაგზალზე და ვერაზე. მონაწილეობას **ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ** მცოდნენი უცხო ენებისა... მეცადინეობა დაიწყება დილის 8 ს-დან საღამოს 8 საათამდე. დროებით მასწავლებელთან მოლაპარაკება შეიძლება თავისუფლად 2-საათ. დღით 6 საათამდე. მსურველ! შეუძლიან ინახულოს სხვა დროსაც...

დროებითი ადრესი: Черкезовская ул. (быв. Авчальск.) д. № 133. кв. 4. противъ вакзала въ Нахаловкѣ.

„ᲨᲔᲡᲐᲤᲐᲚᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ“.

(თ.—1084—24)

ᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲘᲠᲡᲔᲒᲘᲡ
ᲓᲐ ᲜᲐᲓᲣᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ

ᲙᲣᲠᲘᲡ ᲙᲕᲐᲡᲘ „ᲒᲔᲛᲝ“

ᲙᲕᲐᲡᲘ „ᲒᲔᲛᲝ“ იყიდება ყველგან. ბოთლი 10 კაპ., ნახევარ ბოთლი 5 კაპ. პირდაპირ ქარხნიდან წამდევ მუდმივ მხმარებელს მიეცემა ყინულში გაცივებული და ფას დაკლებით. ქარხანა იმყოფება: ვერაზე, ბელინსკის ქ. № 13, სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს მახლობლად.

(15—1281—11)

ᲡᲐᲙᲔᲠᲐᲕᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲐ

ᲖᲘᲜᲒᲔᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡᲐ

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

მხოლოდ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ეასის ფასად ნაწილ-ნაწილ **1** მანეთიდან

ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ.

ხელის მაშინები ეასად **25** მანეთიდან

უფთხილდით სიყალბეს

მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(წ.—1062—30)



ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ

ᲗᲐᲑᲐᲒᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲡᲐᲙᲔᲠᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲡᲝᲕᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲔᲑᲘ,

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ალექსანდრეოვის ქ.

ᲒᲠᲐᲛᲝᲤᲝᲜᲔᲑᲘ და **ᲕᲔᲚᲝᲡᲘ�პᲔᲓᲔᲑᲘ**

და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესოს ქარხნებში, რის ხელ-ჯარგემიც ვიძლევი გარანტიას. ფასები ხაქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდზედ, აგრეთვე ნისიათ, (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ“, რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. მუაქს **ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲘ, ᲨᲔᲥᲔᲗᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠ ᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐ ᲩᲥᲘᲕᲘᲔᲠ ᲤᲐᲡᲔᲑᲨᲘ.** გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

(50—1072—28)

ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲔᲗ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ!

„ᲒᲐᲮᲐᲝᲪᲐᲠ ᲘᲐᲤ-ᲤᲐᲮᲐᲚᲐᲓ ᲛᲔᲒᲝᲫᲚᲘᲐᲜᲗ ᲘᲛᲝᲛᲬᲛᲣᲗ **ᲙᲘᲠᲘ** მეორე ხარისხისა, ქუთაისში ირყინერ ლიავდანხის საგირეში. ამ კირის ერთი გაგონი, 900 ფუთი, ადგილზერივ ქუთაისში 30 მანეთი ღირს. ეს ᲙᲘᲠᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓ ᲫᲕᲘᲣᲐ ᲜᲐᲠᲔᲕᲘ, მშვენიერი მახასიათებელი, განსაკუთრებით საძირკვლისა და ძირი სართულისათვის. ამ კირის ბუხარი არა გვაქვს. იქვე გაგზავნითი იყიდება

საუკეთესო და ეკონომიური კირი **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐ** ხელსაყრელ ფასად.

მისამართი: Известковый заводъ инженера Ю. А. Лявданскаго въ Кутаисѣ.

(2—1346—2)

ᲡᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲔᲕᲖᲗᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲭᲠᲔᲗ

ᲫᲛ. ᲫᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲡ

ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ

ᲝᲡᲔᲢᲠᲘᲜᲐ (ზუთხი) **ᲓᲐ ᲡᲔᲕᲠᲘᲣᲒᲐ** (ტარანდანა).

ᲖᲘᲤᲖᲘᲚᲐᲚᲐ

ახალი (Зернистая).

ᲞᲐᲠᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲝᲤᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲝᲨᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲖᲣᲠᲒᲘᲔᲚᲔᲑᲘ

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲕᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲐᲒᲣᲚᲘ (ᲡᲘᲝᲤᲜᲐ)

მივიღეთ საუკეთესო ᲞᲐᲘᲮᲣᲜᲘ ᲖᲘᲤᲖᲘᲚᲐᲚᲐ

ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲘᲐ 1 მ. 60 კ. 2 მ. დან 2 მან. 40 კ.-დე.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲖᲘᲤᲖᲘᲚᲐᲚᲐ (Кетовая). 60 კ. ᲖᲘᲠ.

და **ᲑᲔᲚᲐ-ᲠᲔᲑᲘᲡ** 50 კ.

აგრე[illegible] ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვებ[illegible]

(წ—1052—[illegible])

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲮᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘ“, მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲘ ᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ.